

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ

გაზეთი „ალია“ – 6-12 სექტემბერი, № 36, 2010

„ქრონიკის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ჩვენ ვწერდით იმაზე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არიან მხცოვანი ადამიანები, ანუ აკადემიკოსები, რომლებიც დღეს ფაქტობრივად არაფერს ქმნიან, მაგრამ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს მაინც იღებენ. ბუნებრივია, ისმება შეკითხვა: რაში ვხარჯავთ ამდენ ფულს, თუკი ქვეყანა ვერ იღებს რეალურ შედეგს? ამ თემაზე „ქრონიკას“ ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, თქვენ პირად საუბარში მითხარით, მეცნიერებათა აკადემიას რომ შეეხეთ ამას წინათ, ეს ამ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა იყოო. მაინტერესებს, რატომ ფიქრობთ ასე?

– თქვენ გქონდათ საუბარი იმაზე, თუ რატომ ვაძლევთ ხელფასებს მეცნიერებათა აკადემიის მხცოვან წევრებს, ანუ აკადემიკოსებს. ჯერ ერთი, მეცნიერებათა აკადემიის წევრები არ იღებენ ხელფასს, ის სარგო, რომელიც არის კანონით განსაზღვრული, არის იმ დამსახურებისთვის, რაც აქვთ მეცნიერებს წლების განმავლობაში. მე ტრაგიკული ისტორია მინდა გავიხსენო, 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში დუხშირი ცხოვრება იყო, ზოგიერთი ჩვენი მხცოვანი აკადემიკოსი შიმშილით და საჭირო მედიკამენტების გარეშე გარდაიცვალა. ერთი საინტერესო ფაქტიც მინდა, რომ გითხრათ. მსოფლიოში მეცნიერებით გამდიდრებული კაცი არ არსებობს, მაგალითად, ნობელის პრემია მხოლოდ 1 მილიონი დოლარია, ამ პრემიის ლაურეატი არც ისე ბევრია და დღეს ეს ფული ზოგისთვის ერთი წლის ხელფასია, მეტსაც იღებენ ბიზნესში. მაგალითად, ცნობილია, რომ ლადო გურგენიძე საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობის პერიოდში წელიწადში 2 მილიონზე მეტსაც კი იღებდა. ეხლა წარმოიდგინეთ როგორი ანაზღაურება აქვთ ბიზნეს-სტრუქტურების ხელმძღვანელებს ჩვენზე უფრო მდიდარ ქვეყნებში. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში მხოლოდ

მეცნიერებით გამდიდრებული ქაცი არ არსებობს. თუმცა არიან ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც გამდიდრდნენ, მაგრამ არა მეცნიერებით, არამედ იმით, რომ თავიანთი ცოდნით ისინი ბიზნეს-კომპანიებს უწევენ კონსულტირებას. ამიტომ ქართული სახელმწიფო გარკვეულ თანხას გამოყოფს, რომ ამ ხალხს შეეძლოს დისეული ცხოვრება. იმავდროულად, ეს არის სიგნალი ახალგაზრდებისათვის, რათა შესაბამისი ნიჭის მქონენი არა მარტო ბანკირობასა და იურისტობაზე ოცნებობდნენ, არამედ მეცნიერება აირჩიონ თავისი მოღვაწეობის ძირითად სფეროდ. სხვათა შორის, ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობას მეცნიერებათა აკადემიის გაუქმება უნდოდა. ამბობდნენ, მსოფლიოში არაერთი აკადემიაა, რომლის წევრობაც ძალიან პრესტიჟულია, მაგრამ იქ ფულს არ უხდიანო. კი, მაგრამ უცხოეთში მეცნიერებს მთელი ცხოვრება კარგი ხელფასებიც აქვთ, და თუ ვერ მდიდრდებიან თავიანთ სიბერეს მაინც დირსეულად უზრუნველყოფენ. საქართველოში ასევე უნდოდათ ინსტიტუტების გატანა ამ აკადემიიდან და ამას კიდეც მიაღწიეს. მეტსაც გეტყვით, მეცნიერებათა აკადემიის იმ შენობის გაყიდვაც უნდოდათ, რომელიც განთავსებულია რუსთაველზე, კემპინსკს შესთავაზეს და მან დაიწუნა ერთი მიზეზით – მანდ პარკინგს ვერ გავაკეთებო და მის სანაცვლოდ „იმელის“ შენობა მოითხოვა. აი, აქაც გამოჩნდა აკადემიის მიმართ მთავრობის უდიერი დამოკიდებულება.

- ჩვენ რამდენი წევრი გვყავს ახლა აკადემიაში?
- თუ მეხსიერება არ მღალატობს, დღეს აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი არის 46.
- ეს 46 ადამიანი რას ქმნის დღეს?
- ის, ვინც არის ღრმად მოხუცებული, დღეს ვერაფერს ვერ ქმნის.
- რამდენია ღრმად მოხუცებული, ნახევარი?
- ზუსტად ვერ გეტყვით... მაგალითად, აკადემიკოსი ეკონომიკის დარგში ბოლო 30 წლის განმავლობაში არ გვყოლია, დღემდე არ არჩეულა. ახლა გვყავს სამი წევრ-კორესპონდენტი. კი, გარკვეული ნაწილი არის ღრმად მოხუცებული, მაგრამ ზოგი მუშაობას მაინც წარმატებით აგრძელებს. ზოგი არ არის დიდად ასაკოვანი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერაფერს აკეთებს. ვინც აქტიურად მოღვაწეობს არიან ახალგაზრდა მეცნიერების ხელმძღვანელები, აქვეყნებენ ნაშრომებს ურნალებში. ახლა ჩვენ რომ მოვკვეთ, ვინ სად და რას აქვეყნებს, ეს შორს წაგვიყვანს, მკითხველისთვის არ იქნება საინტერესო.

– მოდით, საკითხს მივუდგეთ პრაქტიკულად, სიმართლეს გავუსწოროთ თვალი... მე ვიხდი ბიუჯეტში ფულს, ეს ფული მიდის მეცნიერთან, ახლა მაინტერესებს, რა შედეგს ვიღებ ამ მეცნიერისგან?

– მეცნიერის შედეგი ყოველთვის როდია იმთავითვე თვალშისაცემი, მაგრამ ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევებმა ბიძგი მისცეს ახალ გადაწყვეტილებებს ტექნიკის განვითარებაში, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მაგისტრალური, ენათმეცნიერების სკოლამ კი არაერთი აქამდე უცნობ ისტორიულ საკითხს ახადა ფარდა, და ა.შ. დღეს ქართველი ფიზიკოსების საქმიანობა მსოფლიო მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია... ეს მეცნიერები წლების განმავლობაში იყვნენ ახალიგაზრდა თაობების აღმზრდელები.

– კი, ბატონო, დაგუფასოთ, მივცეთ იგივე რაოდენობის პენსია, რატომ გაწვალებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ხმა არ ამოიღოს?

– არა, ამას პენსია არ ჰქვია...
– ეს არის სატყუარა.
– არაფერი სატყუარა არ არის, როგორ გეკადრებათ?
– ხომ შეუძლია ხელისუფლებას, რომ ხვალ ამ თანხის მიცემა შეუწყვიტოს?
– შეუძლია.

– ჰოდა, მეც მანდ ვარ, ხვალ სააკაშვილს წამოუვლის ახალი იდეა, მოუხსნის ამ 1600 ლარს და მშიერს ამყოფებს ისევ. ამას იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ ხმას ამოიღებს.

– მე გეტყვით, 2007 წლის ნოემბრის მოვლენები რომ არ ყოფილიყო, მეცნიერებათა აკადემიის წევრებისთვის სარგოს ნამდვილად გააუქმებდნენ. იმ დროისთვის ხელისუფლებაში შეიქმნა გარკვეული შიში და მიიღეს ახალი კანონი, სადაც ჩაიწერა ამ გაზრდილი თანხების შესახებ, მანამდე სარგოები სამჯერ-ოთხჯერ ნაკლები იყო.

– მაგას სარგოს დაგარქმევთ თუ ხელფასს, რა მინიშვნელობა აქვს? მე უკეთეს რამეს გამბობ, დაგაფასოთ აკადემიკოსი სიცოცხლის ბოლომდე და თანაც ისე, რომ მათხოვარივით ხელი არ ჰქონდეს გაშვერილი ხელისუფლებისკენ.

– პენსიას აქვს სხვა ფუნქცია.

– სხვა სახით მივცეთ, ოდონდ ეს საყვარელი მეცნიერი ნუ იქნება ხელისუფლებაზე დამოკიდებული.

– ეს იმიტომ ვერ იქნება პენსია, რომ აკადემიის წევრობა არჩევითია – თვით აკადემიის წვრები ირჩევენ თავის სწორს. ასე, რომ პენსია ეკუთვნის ყველას ვინც გარკვეულ ასაკს მიაღწევს, ხოლო ხელისუფლი სარგო მხოლოდ იმათ ვისაც თავად აკადემიკოსები აირჩევენ.

– არა, მე ვლაპარაკობ იმ ადამიანებზე, რომლებიც ღრმად მოხუცებულები არიან და არაფერს არ აკეთებენ.

– ჩვენ გვყავს არა აკადემიის წევრი პროფესორები, რომლებსაც ადარ შეუძლიათ მუშაობა. მეტსაც გეტევით, უნივერსიტეტებში არის ასეთი წესი, როცა პროფესორს ადარ შეუძლია ლექციების კითხვა, მას აძლევენ ემერიტუსის წოდებას, რაც ამ წოდების მიმღებს აძლევს უფლებას ლექცია არ წაიკითხოს და სრული პროფესორის ხელფასი მიიღოს.

– სად, ჩვენთან?

– არა მარტო ჩვენთან! ეს წესი თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედებს. რაც შეეხება ფაქტს, რომ ხომ არ არის ეს სარგო იმისთვის, რათა კაცი გააჩუმონ? აქ ადამიანების გაჩუმება-არგაჩუმება მიღებულ თანხაზე არ არის დამოკიდებული. მე მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს. თამაზ გამყრელიდე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას ლია კრიტიკით გამოვიდა იმდროინდელი საკავშირო უზენაესი საბჭოს ყრიულობაზე და 9 აპრილის გამო ამხილა კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკა. მაშინ მისთვის საკავშირო აკადემიის აკადემიკოსობას ხელი არ შეუშლია... ბატონი თამაზი ახალი არჩეული იყო ჩვენი აკადემიის პრეზიდენტად, როდესაც უნივერსიტეტზე წავიდა შეტევა. ამ დროს ბატონმა თამაზმა ოთხი-ხუთი ბრწყინვალე სტატია დაწერა, ერთ-ერთი იყო ასეთი სათაურით: „ივანე ჯავახიშვილის მეორე სიკვდილი“. ეს იყო ციკლი სტატიებისა, სადაც ცდილობდა უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის იდეის დაცვას. მაშინ მან მისწერა ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციას დაახლოებით ასეთი შინაარის წერილი – „სოს“, ანუ არ ყოფილა ეს კაცი გაჩუმებული. საზოგადოებას შევახსენებ ფსიქოლოგ შოთა ნადირაშვილს, მათემატიკოს ვანო კილურაძეს, ფიზიკოს თენგიზ სანაძეს, ბიოლოგს მალხაზ ზაალიშვილს. არც ერთი მათგანი არასოდეს ყოფილა გაჩუმებული! მე მართალია არ გახლავართ აკადემიის ნამდვილი წევრი, წევრ-კორესპონდენტი ვარ, მაგრამ რა ვინმე განა იტყვის რომ გაჩუმებული ვარ? მართალია ჩემთვის

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თანხას, რასაც ვიდებ, მაგრამ ამის გამო რომ გავჩუმდე გული გამისკდება... მე არც მომავალში ვაპირებ გაჩუმებას არა იმიტომ, რომ ოპოზიციაში ვარ – არა, მე არავის ოპოზიციაში არა ვარ, მე ვარ მოქალაქე, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და მაქვს გარკვეული შეხედულებები. მე არა მარტო თქვენი გაზეთის ფურცლებზე, როცა საჭირო იყო, ოპოზიციის წარმომადგენლებიც გამიკრიტიკებია. დღესაც გავიმეორებ, რომ აკადემიის და ზოგადად სამეცნიერო დაწესებულებათა დანგრევაში ლომის წილი დღევანდელ ოპოზიციონერს, ყველასათვის კარგად ცნობილ ზურაბ ნოღაიძეს მიუძღვის, ხოლო როცა საჭირო იყო ჯეროვანი პრინციპულობა ვერც ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გამოიჩინა... აკადემიაშიც არიან ისეთი წევრები, რომელთაგან ზოგს არა აქვს გარკვეული პოზიციის გამოხატვის უნარი, ზოგიც ჩუმადაა... ეს ჩვეულებრივი ადამიანური რამაა. აკადემიაშიც ხდება ის, რაც ხდება ყველგან, ნებისმიერ სფეროში. მე არაერთი აკადემიკოსი ვნახე მიტინგებზეც, ისინი იყვნენ ხალხის გვერდით, თუმცა სიტყვით არ გამოსულან. სხვათა შორის, აკადემია გადაარჩინა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია მეორის მხარდაჭერამ. დღეს მისი უწმინდესობა ილია მეორე მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრია და ჩვენ აკადემიის წევრებს ეს დიდად გვეამაყება. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ რევოლუციურ ხელისუფლებას ყველა ეპოქასა და ყველა სახელმწიფოში ინტელექტუალური საზოგადოება არ აწყობს და ერთ-ერთი რგოლი მრავალთა შორის, რომელიც მასზე გამაღიზიანებლად მოქმედებს, არის მეცნიერებათა აკადემია, უბრალოდ იქ ჯერჯერობით ვერ მოახერხეს კვიტაშვილისნაირი კაცის დასმა პრეზიდენტად, თამაზ გამყრელიძეს ხომ ძალზედ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს. რომ არა გამყრელიძე, აუცილებლად გამოაჩენდნენ ხუბუებსა და კვიტაშვილებს... ფინანსური კუთხით აკადემია სერიოზულ მხარდაჭერას იღებს ცნობილი ბიზნესმენისაგან, ბატონი ბიძინა ივანიშვილისაგან. არ უნდა დავუკარგოთ აკადემიის ვეცე-პრეზიდენტს ფრიდონ თოდუასაც, რომელიც ცდილობს ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეები მაქსიმალურად აარიდოს აკადემიას.

– კი მაგრამ არაერთი ცნობილი მეცნიერი სწორედ ფრიდონ თოდუას ადანაშაულებს მეცნიერების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებში...

– მე, რა თქმა უნდა, ვერ მივცემ თავს უფლებას ვინმეს ადვოკატად ან მრჩეველად დაუდგე, თუმცა ვფიქრობ, რომ დუმილი ბატონი ფრიდონის მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე ნამდვილად არ ასხამს მის წისქვილზე წყალს. თუ კი თქვენი, ან რომელიმე სხვა გაზეთით შეეცდდება პასუხის გაცემას ეს, ჩემი აზრით, მისთვისვე, მისი ხვალინდელი სახელისათვის იქნება უკეთესი. თანაც დღეს ის აკადემიას ისე სჭირდება, როგორც არასადროს...

– მე მაინც მგონია, რომ მეცნიერებათა აკადემია ფაქტობრივად დაშლილია, ყველა ინსტიტუტი გამოაცალეს, რადა დარჩა?

– ძალიან კარგი შეკითხვაა! სხვათა შორის, ასეთი რამე მოხდა საფრანგეთში რევოლუციის შემდეგ, რამდენიმე წელიწადი აკადემია დახურული იყო, მაგრამ შემდეგ ცოტა უფრო დამშვიდებულ ვითარებაში აღადგინეს. მე მასსოვს, ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა აკადემიაზე დაიწყო შემოტევა, აკადემიაში საერთო კრება გაიმართა. მაშინ მეც გამოვედი და ვთქვი: ნუ გაგვიკვირდება, ჩვენ წინ გველოდება ძალიან მძიმე დრო, იქნება შემოტევა აკადემიაზე, იქნება შემოტევა ინსტიტუტებზე, მოინდომებენ დაშლას, მაგრამ ეს ბოროტება საბოლოოდ მაინც ვერ გაიმარჯვებს... მე მჯერა, რომ გავა დრო და ჩემი ქვეყნის ინტელექტუალური ნაწილი ყველაფერს გააქვთებს საქართველოში მეცნიერული კვლევების სისტემის ასაღორძინებლად და მეცნიერის პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლად! ასე რომ, თუ დღეს საქართველოში მეცნიერება არაპრესტიჟულია, დაკნინებულია და გაუბედურებულია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალაც ასე იქნება. მე არ მინდა დავიჯერო, რომ ქართველი იქნება მხოლოდ ტურისტების მომსახურე ერი. მე მინდა მჯეროდეს, რომ ისეთი ცნობილი ფიზიკოსი, როგორიც ბატონი დვალი გახლავთ, არა მარტო დასავლეთში იმოღვაწებს, არამედ აქაც ჩამოვა, ქართველ მეცნიერებთან ერთადაც განახორციელებს გარკვეულ პროექტებს და ქართველ სტუდენტებსაც წაუკითხავს ლექციებს.

– ბატონო ლადო, მე ვლაპარაკობ არა მეცნიერების გაუქმებაზე, არამედ იმაზე, რომ ჩვენ მივიღოთ რეალური შედეგი – აკადემიაში აღარ არის ინსტიტუტები.

– დღეს მიდის ინსტიტუტების შეერთება უნივერსიტეტებთან, რათა შენობები გაყიდონ. მე ამ პროცესს მხარს ნამდვილად არ ვუჭერ. მოდით, ვთქვათ, ზოგადად, აბსტრაქტულად ეს პროცესი სწორია, რა თქმა უნდა,

მეცნიერება და განათლება უნდა იყოს ერთად, მაგრამ გადმოვიდეთ ქართულ სინამდვილეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იყო სამეცნიერო სექტორი, მაშინ რატომ გაანადგურეს, თუკი მეცნიერება და განათლება ერთად უნდა ყოფილიყო? ახლა რატომდა დავიჯვრო, რომ დღეს რასაც აკაეთებენ ამას კი კეთილი ბოლო ექნება... სამწუხაროდ სამეცნიერო საზოგადოებაში არის იმის განცდა, რომ დაცლილი შენობები გასაყიდაა საჭირო და ამიტომ შეყავთ სამეცნიერო ინსტიტუტები უნივერსიტეტებში.

— კი, ბატონო, მე კიდევ სწორედ მაგიტომ მგონია, რომ ამ უმსგავსობას აკადემიკოსები ხედავენ და ხმას არ იდებენ.

— აბა, მე რას ვაკეთებ ახლა? ჩემზე ბევრად უკეთ კი ვანო კილურაძემ, შოთა ნადირაშვილმა, თენგიზ სანანაძემ და ბევრმა სხვა მეცნიერმა აიმაღლა ხმა!

გელა ზედელაშვილი